№ 49 — 1877–1897 — № 49

შაბათი, 15 მარტი 1897 წ.

# ივერია

ბაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომ — ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

## სამკერვალო სკოლა
## ქალთა ამხანაგობისა

მიიღებს შესაკერად კაბებს, წამოსასხამებს და სხვა მორთულობის შეკვეთას.

ვერა, გაბაევის ვიწრო ქუჩა, № 3. (3—1)

## აზოვი-დონის საკომერციო ბანკი.

დაწესებულია 1871 წელს.

ძირის თანხა . . . . . . . . . 7.500,000 მან.
სათადარიგო . . . . . . . . . 3.700,000 „

**მმართველობა ტაგანროგშია.**

განყოფილებანი არსებობს: არმავირსა, ბახმუტსა, ბერდიანსკსა, ვარშავასა, კავკავსა, ეისკსა, ეკატერინოდარსა, ეკატერინოსლავსა, კერჩსა, ლოძს, ლუგანსკსა, მარიუპოლსა, მელიტოპოლსა, ნოვოროსისკსა, დონის-როსტოვსა, სიმფეროპოლსა, სტავროპოლსა, ტფილისსა, ხარკოვსა, ცარიცინსა და თეოდოსიაში.

საკომისიონერონი: ალექსანდროვსკსა, გიორგიევსკსა, გროზნასა, განჯასა, კამენსკოის სადგურსა და ლოზოვის სადგურზედ.

**ტფილისის განყოფილება**

(სერგისა და სოლოლაკის ქუჩების კუთხე, სახლი აღაბაბოვისა)

**კვლავ გამოცვლამდე**

| აძლევს: | | იხდევინებს: | |
|---|---|---|---|
| 3% **წლიურს** | უბრალო მიმდინარე ანგარიშზედ. | 6% **წლიურს** | თუ სესხი გაცემულია და გირაოდ აღებულს მთავრობისაგან უზრუნველ-ყოფილი ფასიანი ქაღალდები, სადგილ-მამულო ბანკების გირავნობის ფურცლები და საქალაქო საზოგადოებათა ობლიგაციები. |
| 3½% „ | პირობა-დადებულ მიმდინარე ანგარიშზედ. | 7% „ | თუ გირაოდ აღებულია სხვა, არა უზრუნველ-ყოფილი ფასიანი ქაღალდები და აქციები. |
| 3½% „ | უვადოდ შეტანილ ფულში. | 6½% „ | სპეციალ ანგარიშზედ (on call) უზრუნველ-ყოფილ და არა უზრუნველ-ყოფილ ფასიან ქაღალდების გირავნობით. |
| 5% „ | წლითა და მეტის ვადით შეტანილს ფულში. | 7-დგან 8%-მდე | თუ თამასუქებია განაღდებული. |

ბანკის განყოფილება აწარმოებს ყოველს ოპერაციას, წესდებით ნება დართულს, აძლევს შემოთვლით ფულს და აგრეთვე შეთვლით ფულს აბარებს იმპერიის და საზღვარ-გარეთის ყველა იმ ქალაქში მყოფთ, სადაც-კი საკრედიტო დაწესებულებაა დაარსებული. (3—80—3)

**რედაქციისაგან**

იმ ხელის-მომწერთ, რომელთაც ნახევარ წლით აქვთ დაკვეთილი გაზეთი შარშანდელ წლის პირველ იანვრიდგან, გაზეთის გზავნა მოესპოთ ამ წლის პირველს მარტს, რადგან შარშან ოთხი თვე და ჩვიდმეტი დღე მიღებული აქვთ გაზეთი და ეხლაც ერთის თვისა და ცამეტის დღის გაზეთი პირველ მარტამდე შეუსრულდათ. ვისაც ჰსურს პირველ მარტიდამ ამ წლის დამლევამდე მიიღოს გაზეთი, უნდა გამოგზავნოს ათის თვის ფასი გაზეთისა 8 მან. 33 კაპ.

---

ტფილისი, 14 მარტი.

გუშინ მობრძანდა ახალი მთავარ-მართებელი კავკასიისა თავადი გრიგოლ სერგეის ძე გალიცინი. მისს ბრწყინვალებას წინ მოუძღვა უმაღლესი სახელდობრივი ბრძანება სენატის მიმართ. მისს იმპერატორებითს დიდებულებას ხელმწიფე იმპერატორს კეთილ უნებებია დროებით მიენიჭებინა ახალ მართველისათვის იმისთანა დიდნი უფლებანი, რომელნიც „ნამესტნიკობის" გაუქმების შემდეგ არა მთავარ-მართებელს არა ჰქონია. ეს ამისთანა ნიშანი უმაღლესის ნდობისა დიდ-მნიშვნელოვანი საქმეა. ამისთანა დიდნი უფლებანი ცხადად ჰლაპარაკობენ, რომ კავკასია სამართველოდ ებოძა უმაღლესად რჩეულს, რომლის ხელშიაც იგი უფლებანი მარტო კეთილის მომასწავებელნი არიან. ყოველივე უფლება კეთილ-საიმედოა სამართლიანის, წინდახედულის, განათლებულის, გულ-გამთბარის და გულ-მტკივნეულის კაცის ხელში. სხანს ყოველ ამისთანა ღირსების მქონეა იგი რჩეული, რომელსაც ჩვენმა მოწყალემ ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და მიანდო ეს დიდნი უფლებანი. ჩვენც დიდის ნდობით და სასოებით ვეგებებით მისს ბრწყინვალებას ახალ მთავარ-მართებელს და შევხარით მისს მშვიდობით მობრძანებას ჩვენდა საკეთილოდ.

ქართველნი იტყვიან, სამართლით მოჭრილი ხელი არ მეტკინებაო. ამ სიტყვაში დიდი და ღრმა აზრია. არა ნაკლები, თუ არ მეტი, აზრია შემდეგშიაც: ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად. საქმე სამართლიანად მოქცევაა. სხვა ყოველი, რაც გინდ მწვავი რამ შეემთხვეს ადამიანს სამართლის პირდაპირობითა და სახელითა, ჰკვათ-მისაღებია, ვითარცა აუცილებელი ქვაკუთხედი კაცთა კრებულის აგებულებისათვის. უამისოდ ქვეყანა ვერა ჰხეირობს, ვერა უფლება თავისს კეთილს ნაყოფს ვერ გამოიღებს და თვით უფლება სხვა რა არის, თუ არ ღონე დათრგუნვილ სამართლის აღდგენისა და სამართლისათვის გზის გაკაფვისა და გახსნისა. სხვა უღრეში მიზეზი და საბუთი არსებობისა უფლებას არა აქვს-რა.

სამართალი და სიყვარული, ერთმანეთთან ხელჩართული,—აი ის უშრეტი წყარო, საიდამაც წარმოდინდება მადლი მართველობისა და კეთილი ქვეყნისათვის. რაც სითბო-სინათლეა ბუნების სიცოცხლისათვის, ის სამართალი-სიყვარულია კაცთა კრებულის ცხოვრებისათვის.

უმაღლესის ბრძანებით ბოძებულნი უფლებანი ცხადად გვასწავლიან, რომ მისი ბრწყინვალება ახალი მთავარ-მართებელი თავისს დიდს და პასუხის-მგებელს სამსახურს სამართლით და სიყვარულით გაუწევს ერთის მხრით სახელმწიფოს და მეორეს მხრით მისდამი რწმუნებულს ქვეყანას და ამ ორს უდიდესს ღონეზე დაამყარებს ყოველს თვისს განათლებულს მზრუნველობას. სამართალი და სიყვარული ჰქმნის იმ ერთსულობას, ერთგულობას, რომელიც ასე საჭიროა სახელმწიფოს მაგრად და მკვიდრად დგომისათვის, ერთად-ერთი ზღუდეა, რომელსაც ყოველივე ავი და ბოროტი ზედ შეასკდება ხოლმე, როგორც სალსა კლდესა და ერთად-ერთი საწყაოა მართველის ღვაწლისა.

კავკასიის მართვა, სადაც ამდენი სხვა-და-სხვა ერი მკვიდრობს და სასოებით შეჰყურებს დიდს რუსეთს, მეტად ძნელია. თვითეულის ერის ზნე-თვისება, რჯული, ჩვეულება, აწმყო და წარსული იმისთანა რთულს საგანს შეადგენს მართვისათვის, რომ ძნელია კაცმა ადვილად გაიგნოს გზა. თუ აქ კაცი, ვიდრე თავისს განაჩენს დასდებდეს, ყოველ ავსა და კარგს ჯერ წინად არ გამოიძიებს, არ გამოარკვევს, გულს არ გადუხსნის გეშის მიტანით კი არა, ცარიელის გუმანით კი არა, რომელიც ყოველთვის მაცდუნებელია და არ-მისანდობი, არამედ მართალის აღმოჩენითა და თვალ წინ დაყენებითა, ერის გულის-ტკენის მეტს ვერას მოიპოვებს...

სხვა-და-სხვა ენის, რჯულის და ზნე-თვისების ერთა სიმრავლე კავკასიაში, ვიმეორებთ, აძნელებს საქმეს მართვისას და რომ აქ არც მწვადი დაიწვას, არც შამფური, გამორკვევა უნდა სახელმძღვანელო აზრს. ჯერ ყოველთა უწინარეს უნდა გაიმიჯნოს სად იწყება და თავდება ჭეშმარიტი მოთხოვნილება სახელმწიფოსი, რომელსაც ყველა უნდა ექვემდებარებოდეს უცილობლად და სად—სხვა-და-სხვა ერთა ბუნებური სურვილი თავისის თავის შენახვისა და პატრონობისა, რომელსაც ყველა უნდა გულისტკივილით და პატივის-ცემით ეპყრობოდეს. როგორც ცალკე ადამიანს არ ეკიჟინება, რომ თავისი სულიერი და ხორციელი სახე იქონიოს კრებულში, ისეც ცალკე ერს სახელმწიფოში.

სახელმწიფოს ერთობას, როგორც პოლიტიკურს და საზოგადოებურს ერთ-არსებას, სულ არ უშლის ეტნოგრაფიული სხვა-და-სხვაობა. ერთსახობა, გარეგანი იგივეობა-კი არ არის საჭირო სახელმწიფოს სიმტკიცე-სიმაგრისთვის, არამედ ერთსულობა, ერთგულობა, რომელიც ერთად-ერთი ქვითკირია სახელმწიფოს მკვიდრ აგებულებისათვის.

---

# ფელეტონი

**უცხოთა შორის**

ლონდონის რკინის გზები—ჰაერში, დედამიწაზედ და დედამიწის ქვეშ.—მინის სასახლე, მუზეი, ნავთ-სადგური და გემები.—სიმდიდრე და სიღარიბე.—ბაღ-ვენახები და ჰაიდ-პარკი.—ცხენოსნობა.—ინგლისელს ვერაფრით გააკვირვებ.

ბევრი, ბევრი რამ არის შესანიშნავი ინგლისში. ათას ისეთ რამეს ნახავს აქ კაცი, რაც ამტკიცებს ინგლისელების დიდს სწავლა-განათლებას, მათს ცოდნას, ვაჭრობას, ლიტერატურის გაძლიერებასა და განვითარებას და სხვანი. ამ პაწია ფელეტონში შეიძლება მოვიხსენიოთ მხოლოდ ორი შესანიშნავი რამ ინგლისისა. ერთი ასეთი შესანიშნავი რამ გახლავთ რკინის გზა ქალაქის ქვეშ.

მთელ დედამიწის ზურგზედ არ მოიპოვება ისეთი ქალაქი, რომელშიაც ლონდონის ოდენა ხალხი იყოს. მასთან მცხოვრებთა რიცხვი, რა თქმა უნდა, თანდათან მატულობს, ქალაქი იზრდება. ქუჩებში ისეთი მოძრაობაა, რომ ამ ქუჩის თავსა და ბოლოში მთელ საათს უნდა გაჩერდეთ, ვიდრე გზა გაიხსნება. ამიტომ ინგლისელებმა ქალაქის ქვეშ, ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, მიწის ქვეშ გათხარეს გვირაბი და გამართეს მეორე ქალაქი, ქუჩები—ქუჩების ქვეშ. ერთი რკინის გზა მიწაზედ გაიყვანეს, მეორე—მიწის ქვეშ, მესამე ჰაერში, სახლების ბანებზედ. მატარებლები ყველა მხრიდგან უსტვენენ აქა და ჰქშინავენ, შიგ მიწაში, მიწაზედ, ჰაერში...

ვსთქვათ, ლონდონელი სადმე მიეჩქარება (აქ, უნდა მოგახსენოთ, ყველა ყოველთვის ჩქარობს), ჩავა კიბეზედ მიწის ქვეშ, გვირაბში, შეახტება მატარებელს და მიჰქროლავს ბნელაში წარმოუდგენელის სისწრაფით. ყოველ ხუთს წუთში მატარებელი ერთს წამს ჩერდება. ხალხი საჩქაროდ გამოდის ვაგონიდგან და მერე სიჩქარითვე აცოცდება ზევით, ქუჩაზედ.

ძლიერ ბევრს ხალხს შიგ მიწაში აქვთ გამართული სახელოსნოები, სარდაფები, სასადილო ოთახები; მიწის ქვეშ მშვენიერი თეატრიც-კი არის თურმე ლონდონში. წარმოიდგინეთ, სასაფლაოების ქვეშ კიდევ სხვა სასაფლაოა გამართული. რა თქმა უნდა, რაკი შიგ მიწაშიაც ძვრებიან და ჩადიან ინგლისელები, არც ზევით დააკლებენ რასმეს დედამიწას. აკეთებენ ახალ ქუჩებს, ხიდებს, ქვაფენილებს, ხიდის ქვეშ მეორე ხიდს... ერთის სიტყვით, ყოველ გვარ ღონესა ჰხმარობენ, რომ მეტი ადგილი იყოს სასიარულო და მისვლა-მოსვლა გაადვილდეს.

სწორედ რომ საკვირველია, როგორ გააკეთეს ინგლისელებმა რკინის გზა დედამიწაში! მარტო ამ გზის გაკეთება ამტკიცებს ინგლისელების მტკიცე ხასიათს, მოთმინებას, ცოდნას და აუარებელს სიმდიდრეს. რა თქმა უნდა, რომ მიწის ქვეშ რკინის გზის გაკეთება უფრო ძნელი იყო, ვიდრე ჰაერში, სახლების ბანებზედ. ლონდონის ქვეშ იყო ათას ნაირი მილები: წყლისა, გაზისი, ელექტრონისა, ტელეგრაფისა და მილიონობით ტელეფონის მავთულები. ყველა ეს ძლიერ ახლო იყო ერთმანერთთან. ინჟენერებს დასჭირდათ სხვა-და-სხვა ალაგას გადაეყვანათ ყველა ეს მილები და თხრილები და ამასთან უნდა გაემაგრებინათ ის ადგილები, რომლებიც ადვილად ჩაიქცეოდა. თითოეულ შეცდომას დიდი უბედურება მოჰყვებოდა. ერთს ალაგას მილის გატეხვა მთელს გვირაბს წყალით აავსებდა და მილიონობით დახარჯული ფული დაილუპებოდა. ვინ იცის, რამდენ მილიონად დაუჯდა ინგლისელებს ეს რკინის გზა!.. სამაგიეროდ, რა დიდი მოძრაობაა ამ გზაზედ და რამდენი შემოსავალი აქვს. მარტო ერთს კვირაში ამ გზით თურმე ერთი მილიონი ხალხი გაივლის. მატარებელი ყოველთვის სავსეა ხოლმე. მესამე კლასში ხომ მუდამ ტევა არ არის. ბილეთის ფასი ძლიერ იაფია ამ რკინის გზაზედ, უფრო იაფი, ვიდრე ტფილისში ცხენის რკინის გზის ფასია.

მინის სასახლე მეორე საკვირველება რამ არის. ამ სასახლეს მუზეითა-მუზეის ეძახიან. სასახლე რამდენისამე ვერსით არის დაშორებული ლონდონს და მაღლობზეა გაშენებული. მთელი სასახლე რკინისა და მინისაგან არის აგებული. ყოვ-

ფოს, რა თქმა უნდა, არ შეუძლიან თავისი ინტერესები დაუთმოს ვისმე. ამიტომაც საბუთი აქვს თვალ-ყური ეჭიროს და ადევნოს, რომ სურვილმა ცალკე ერისამ მართლად დადებული მიჯნა სახელმწიფო ინტერესებისა არ გადალახოს. ხოლო ამ მიჯნის გარედ მოქმედება ერისა სასურველიც უნდა იყოს სახელმწიფოსათვის და წასახალისებელიც, იმიტომრომ აქ თვით მოქმედება ერისა ღონეა სახელმწიფოსივე, როგორც საერო სახსარი თავისით ცხოვრებისა, სხვის დაუხმარებლად და, მაშასადამე, სახელმწიფოს შეუწუხებლად.

ყოველივე კაცი თავისს რჯულზე ცხონდებაო, იტყვიან ხოლმე ჩვენში და დაე ყოველი თავისს რჯულზე სცხონდეს ხორციელად სააქაოს და სულიერად საიქიოს. რა ხელ საყრელია სახელმწიფოსთვის, რომ ეს სასოება გაუფთხოს ცალკე ადამიანს, თუ ცალკე ერსა და მით განუქარვოს და გაუქარწყლოს იგი დიდი გულ-მოდგინება, ამ სასოებისაგან წარმომდგარი, რომელიც სძრავს და ამოქმედებს ადამიანსა თუ ერსა მისდა სულიერ და ხორციელ თავისებურ კეთილდღეობისათვის...

## ახალი ამბავი

⁂ კავკასიის მთავარ-მართებელს თავ. გოლიცინს გუშინ დილის 10 საათზედ სასახლეში წარუდგნენ სხვადა-სხვა უწყების მოხელენი. პირველად მისმა ბრწყინვალებამ გენერლობა და სამხედრო უძყების მოხელენი მიიღო და შემდეგ სხვანი. სხვათა შორის თავად-აზნაურთა საგუბერნიო წინამძღოლმა თავ. კ. ი. ბაგრატიონ-მუხრანსკიმ სიტყვა უთხრა და სთხოვა, მის იმპერატორებითს უდიდებულესობას გამოუცხადეთ ერთგულ-ქვეშევრდომული გრძნობანი საქართველოს თავად-აზნაურობისაო. სხვათა შორის იმავე დღეს თავ. გ. ს. გოლიცინს წარუდგნენ ქალაქის მმართველობა.

დღეს და ხვალ სენატორი თავ. გ. ს. გოლიცინი სადარბაზოდ დაივლის. ხოლო მომავალ კვირას შეუდგება სხვა-და-სხვა დაწესებულების დათვალიარებას.

⁂ კავკასიის მთავარ-მართებელმა თავ. გ. ს. გოლიცინმა, როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, 13 მარტს საბურთალოზედ ქალაქის მოურავის ა. ა. ივანენკოსაგან პურ-მარილი მიიღო, რომელიც ვერცხლის სინზედ იდო. მისმა ბრწყინვალებამ აიღო სინიდგან პური და ზედ გადმოაპირქვავა ვერცხლისავე სამარილოდგან მარილი, ვერცხლის სინი და სამარილე-კი უკანვე დაუბრუნა ბ-ნს ივანენკოს და თან დასძინა „პურ-მარილი მე და ეს ვერცხლი-კი თქვენაო“.

⁂ კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწის გენერალ-ლეიტენანტის ფრეზეს ჩამოსვლას ტფილისში ამ თვის 20-მდე მოელიან.

⁂ სადგურ შაქარლის ტელეგრაფისტის მოლჩანოვის მკვლელის ყაზახის მაზრის მცხოვრებელის აბდულა-ომარ-ოღლის საქმე უკვე გარდაეცა სამხედრო ოლქის სასამართლოს. ეს საქმე ტფილისში იქმნება განხილული.

⁂ 13-ს მარტს მეორე მალაკნების ქუჩაზე, მჭედლიშვილის სახლში, კიდევ ერთი კაცი გახდა სახადით ავათ.

⁂ ქალაქის სასანიტარო ინსპექტორმა ექიმმა სტეფანოვმა შეადგინა ექიმთა კომისია, რომელიც დღეიდგან შეუდგება აბანოების და ბაკების დათვალირებას. თუ რომ საჭიროება გამოიწვევს, ზოგიერთი აბანო და ბაკი დაკეტილ იქნება იმ დრომდე, ვიდრე არ გაასუფთავებენ. ამას გარდა კომისია შეუდგება ფაბრიკებისა და ქარხნების დათვალიერებას იქაურ მუშათა ცხოვრების შესასწავლად.

⁂ ჩვენ მოგვივიდა ორი ახალი წიგნი, გამოცემული ქართულს ენაზედ. ერთია მოთხრობა ლექსად „ჯაბა ჯაიანი“, თხზულება გ. გვაზავასი, ხოლო მეორე პროზად ქართველ ებრაელთ ლეგენდა პატივცემულის აკაკისა: „დავითის გვირგვინი“. პირველი ჰღირს 25 კაპ. და შეიცავს სულ 82 გვერდს, ხოლო ლეგენდის ფასი 5 კაპეიკია. ახალს პოემას ბ-ნ გვაზავასას გვაზავასებურ პოეზიის თვალ-მარგალიტი არ აკლია და ძალიანა ჰგავს იმისს წინანდელს პოემებს.

⁂ გაზ. „ნოვოე ვრემია“ ამბობს, რომ დოქტორნი შოლცი და ფრანკე კავკასიაში იგზავნებიან იქაურ მთების გამოქვაბულთა გამოსაკვლევათაო.

⁂ მიწად-მოქმედების მინისტრის რწმუნებულის ბ-ნ მედვედევის წინადადებით, როგორც გაზ. „ნოვ. ობოზ.“-ე გვაუწყებს, კავკასიის საფილოქსერო კომიტეტთან კომისია შემდგარა, რომელსაც დავალებული აქვს გამოარკვიოს ის საგანი, რომ იმ ადგილების მკვიდრთა, სადა ფილოქსერასთან ბრძოლა მუდამ საჭიროა, ამ საქმისთვის რაოდენიმე ხარჯი თითონაც იკისრონ.

⁂ როგორც გაზეთები გვაუწყებენ, ვარშავის უნივერსიტეტში ჰიგიენის ფაკულტეტის პროფესორი კ. პ. კავალკოვსკი იმ კომისიის წევრად მიუწვევიათ, რომელსაც კავკასიაში ჰგზავნიან შავის ჭირის წინაალმდეგ საბრძოლველ ღონისძიებათა სახმარებლად.

⁂ ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს ბ-ნ შალიკოვს ტფილისის გუბერნატორისათვის უთხოვნია, რომ ყველას, ვინც ქუთაისის გუბერნიაში საძოვარზედ ანუ გასასყიდლად საქონელს მოერეკება, უთუოდ პოლიციის მოწმობა უნდა ჰქონდეს იმის შესახებ, რომ იმ ადგილებში, საიდგანაც საქონელი გამორეკა და აგრეთვე იქაც, სადაც გამოატარა, საქონლის ჭირი არ არსებობს. ამასთანავე როცა საქონელს გაატარებს იქ, სადაც ბეითალია დანიშნული, ამ უკანასკნელმა საქონელი უნდა გასინჯოს და ზემო აღნიშნულს მოწმობაში თანაბარი შენიშვნა უნდა ჩააწეროს. ასეთს მოწმობას საქონლის პატრონი, როცა საქონელს ქუთაისის გუბერნიაში ჩარეკავს, ადგილობრის პოლიციას წარუდგენს.

⁂ საზოგადოებაში ხმა გავრცელდაო, ამბობს „ნოვ. ვრემ.“ რომ სასწავლებლებლების მოსწავლეთ ერთის კლასიდგან მეორეში უეგზამენოდ გადაიყვანენო. ეს ხმები იმიტომ გავრცელდა, რომ სამხედრო სამინისტრო სახალხო განათლების სამინისტროს შეეკითხა, საქმეს ხომ არა ავნო რა იმ განკარგულებამ, რომლის ძალითაც ამ რამდენისამე წლის განმავლობაში კარგად მომზადებული მოსწავლეები ერთის კლასიდგან მეორეში გამოუცდელად გადაჰყავთო. სახალხო განათლების სამინისტრომ ამის გამო ცნობები მოსთხოვა სასწავლებლების ხელმძღვანელთა და უფროსთ, რომ ამ ცნობების თანხმად მისცეს პასუხი სამხედრო სამხედრო სამინისტროს.

ამ შემთხვევით სასწავლებლის უფროსებმა უნდა ისარგებლონო, თავის მხრივ დასძენს გაზეთი და ვრცელი მოსაზრება უნდა წარმოუდგინონ სამინისტროს იმის შესახებ, ეგზამენები რამდენად სასარგებლოა ანუ საზიანოა ჩვენის სასწავლებლებისათვისო.

⁂ „ტიფ. ლის.“-ის სიტყვით, ტფილისის გუბერნატორს თავ. შერვაშიძეს შინაგან საქმეთა სამინისტროში შუამდგომლობა დაუწყია, რომ ტფილისის გუბერნიაში შავს ჭირთან საბრძოლველად ათასი თუმანი მოგვეცითო.

⁂ როგორც იგივე გაზეთი მოგვითხრობს, 11 მარტს ტფილისის ვიცე-გუბერნატორის ბატონ სტეფანოვიჩის თავმჯდომარეობით ტფილისისავე გუბერნიის მმართველობის დარბაზში თათბირი ჰქონიათ იმის შესახებ, რომ შავის ჭირის შემოტანის წინააღმდეგ და ხალხის ჯანსაღობის დაცვისათვის რადარა ღონისძიებანი უნდა იქმნას მიღებული. როგორც იმავე კრებაზედ გამოირკვა, ბევრი მაზრის ქალაქი იმდენად ღარიბი ყოფილა, რომ ხსენებულ სენთან ბრძოლა სრულებით არ ძალუძს. ამიტომ კრებამ დაადგინა, რომ ასეთს ღარიბს ქალაქებს გუბერნიის მართველობა ფულით დაეხმაროსო. ამავე კრებაზედ საჭიროდ სცნეს, გაავრცელონ ხალხში რუსულსა და ადგილობრივს ენებზედ დაბეჭდილი წიგნაკები, რომელშიაც შავი ჭირი იქნება აღწერილი და ამ სენის საწინააღმდეგო ღონისძიებანი.

⁂ სოფ. ცერონისი, (გორის მაზრა). ამ ჟამად ჩვენში ისეთი ჩუმი ქურდობა არის გახშირებული, რომ არც ერთს ავაზაკს იმდენი საქმე არ ჩაუდენია, რასაც აქ ქურდ-ბაცაცები სჩადიან. იპარავენ ცხვარს, ბატს, ინდაურს ქათამს, ჰხოცამენ და სჭამენ. სახლის გატეხას ხომ რიცხვი არა აქვს. ამ ერთის კვირის წინად სოფელს თამარაშენს, რომელიც ცერონისის მახლობლად არის, შეიპარნენ ღამით ალექსი ბარჯანიძის სახლში, გაიტანეს ორი მაფრაში ლოგინი, მაფრაშებშივე ჩალაგებული, ერთი კოდი ლობიო, ერთი ლორად გაკეთებული ღორი, კაკალი, მარილი, ნიორი, ხახვი, მთელის წლის ხარჯი და დარჩა საწყალი გლეხი გულს ხელ-

---

ლად შეუძლებელია იმის აღწერა, რაც აქ მოიპოვება. უნდა მოგახსენოთ, რომ ამ სასახლეზე დიდი და მაღალი შენობა მთელ დედამიწის ზურგზედ არსად არის. 150 დღიურის ოდენა ადგილი უჭირავს!..

სასახლის გარშემო გაშენებულია კოშკები, სახლები, ბაღები, აუზებით, ხეივნებით, არხებით... რას არა ჰნახავთ ამ სასახლეში?-. ბაღში ყოველნაირი ხე და მცენარეა, რომელიცკი სადმე მოიპოვება დედამიწაზედ. თვალ-უწვდენელ დარბაზში შეკრებილია ყველაფერი, რაც-კი შეუქმნია ეხლანდელს და უწინდელს ხელოვნებას. ერთს დარბაზში უშველებელი სამუსიკო საკრავია, რომლის ბადალი არსად არ მოიპოვება, ის რომ დაუკრავს, გეგონებათ, მთელი ორკესტრი უკრავსო, აქვე არის თეატრი, რომელშიაც ათი ათასი კაცი ეტევა. აქვე არის ოპერის თეატრი, დარბაზი კონცერტებისთვის. ყველაზედ უფრო-კი ეს სასახლე განთქმულია სამეცნიერო ბ საისტორიო განყოფილებით. აქ შეგიძლიანთ შეისწავლოთ ცხოვრება, ზნე-ჩვეულება და ხელოვნება სხვა-და-სხვა ერისა, როგორც ახალისა, ისე ძველისა, რომლის ხსენება მარტო-ღა ამ სასახლეშია დარჩენილი.

ამაზედ უფრო მეტად საყურადღებოა მინის სასახლეში ბუნებისმეტყველების განყოფილება. აქ ყველაფერი იმ რიგზედ არის გამართული, რომ კაცმა ადვილად გაიგოს, როგორა სცხოვრობს სხვა-და-სხვა ხალხი დედამიწაზედ. აქა ნახავთ წითელ-კანიან ხალხს—ამერიკელებს, ზანგებს, აფრიკელებს, ლაპლანდიელებს, გრენლანდიელებს და სხვა ხალხს, ამ ქვეყნების პირუტყვებს და მცენარეობას.

ძლიერ შესანიშნავია აგრეთვე ლონდონის ნავთ-სადგურები და გემები.

ვისაც დაახლოვებით მაინც უნდა შეტყობა, რა მდიდარია ინგლისი, რა დიდი აღებ-მიცემობა აქვს ამ სახელმწიფოს, უპირველესს ყოვლისა, უნდა დაათვალიეროს ლონდონის ნავთ-სადგური, რომელსაც ერთი შესანიშნავი ღირსება აქვს. ზღვა ისე წყნარია, რომ მცირეოდენი ღელვაც კი არ არის. ისეა გაჩერებული ზღვა, როგორც პატარა აუზში. ნავთ-სადგურის ნაპირებზე გაკეთებულია მშვენიერი ქვა-ფენილი, სადაც აწყობენ მოტანილსა და წასაღებს საქონელს. აქვეა აგებული უზარმაზარი მრავალ-სართულიანი მაღაზიები, რომლებშიაც ჰახრაკებით ააქვთ მძიმე საქონელი.

ლონდონის ნავთ-სადგურთან გამართულ მაღაზიებს თამამად შეიძლება მთელის ქვეყნის საქონლის სალარო ვუწოდოთ. თვით ნავთ-სადგურის დათვალიერებას მხოლოდ მაშინ შეიძლებთ, თუ მდინარე ტემზით ჩახვალთ ხიდით ზღვაზედ. რამდენსამე საათს მიდიხართ გემით და საითაც მიიხედავთ, თვალთ წარმოგიდგებათ გემები, საქონელი, მაღაზიები მუშები, რომელთა შორის არის ყველა ქვეყნის კაცი და რომელნიც ათას ნაირ ენაზედ ლაპარაკობენ. მთელ ოთხ საათს მიდიხართ ასე გემით და არ იქმნა არ გამოილია მაღაზიები, გემები; ყველგან აჩქარებული მუშაობაა. უზარ-მაზარი ქალაქი ლონდონი გაფაციცებით ჰმუშაობს და მდიდრდება...

რა არ მოიპოვება ლონდონის ნავთ-სადგურში? აქ არის: ჩაი, ყავა, კაკაო, შაქარი, ტკბილეულობა, აბრეშუმი, მატყლი, ბამბა, ტყავებიქონი... ყველა ამ სხვა-და-სხვა საქონელს თავისი უზარ-მაზარი საწყობები აქვს. აქა ჰნახავთ შუაგულ-აფრიკიდგან მოტანილს სპილოს ძვალს, ანტილიის კუნძულებიდგან—თევზის წებოს, საქართველოდგან ძირ-ტკბილას, აბაშეთიდგან—სირაქლემას ფრთებს, შავის ზღვის ნაპირებიდგან—საკმელს და სხვა-და-სხვა.

ერთის სიტყვით, ადამიანი ვერ დაასახელებს ვერაფერს, რაც რომ არ მოიძებნებოდეს ამ მსოფლიო ბაზარში, რომელიდგანაც მიაქვთ ყველაფერი მთელის ქვეყნის ყველა მხარეს.

ლონდონი ორად არის განაწილებული: დასავლეთად და აღმოსავლეთად. უკეთესი და მდიდარი ნაწილი დასავლეთისაა. აქ მშვენიერი სახლებია. ქუჩები სუფთა და განიერი. სახლის წინ ბაღებია. მარტო ეს უბანი რომ ნახოს კაცმა, ეგონება, ლონდონისთანა ლამაზი და სუფთა ქალაქი დედამიწის ზურგზედ არსად არისო. მაგრამ ეს დიდი შეცდომა იქმნება. აღმოსავლეთის უბანში წარმოუდგენელი უსუფთაობაა, ტალახიანი ქუჩები, საცოდავი ქოხები, რომელნიც ყოველ წუთს წამოქცევას აპირებენ. ამ უბანში სცხოვრობს ღარიბ-ღატაკი, მშიერ-მწყურვალი, ფეხ-შიშველა, ტანთ-შიშველი, ავადმყოფი, გამხდარი, მილეული, საცოდავი ხალხი. მართალია, აქაც შეხვდება კაცი კარგ სახლებს დიდრონ ქუჩებზედ და მდიდარ მაღაზიებს, მაგრამ ვიწრო ქუჩაში ისეთი წარმოუდგენელი სიღარიბეა, რომელსაც ვერც ერთს განათლებულ ქალაქში ვერ შეხვდებით. ზოგიერთი სახლი უფრო ბოსელს, გომურსა ჰგავს, ვიდრე ადამიანის სადგურს. ზოგიერთის სახლის დანგრევა დიდი ხანია საჭიროა, მაგრამ როცა მდგმური გავა ამ სახლიდგან, ვიდრე დააქცევს პატრონი, უკვე სხვა ოჯახი მიდის თავ-შესაფარებლად. ამ უბანში ხშირადა მძვინვარებს ათას გვარი სენი და მუსრს ავლებს ხალხსა.

ამ ადგილების მცხოვრებთა სიღარიბე ენით არ ითქმის. აქა ჰხედავს კაცი საცოდავად ჩამომხმარს, შიშველ-ტიტველს ქალებს. აქვე ქუჩაში, შიგ ტალახში, ღორებსავით ჰყრიან საბრალო, ავადმყოფი, ჩაყვითლებული, გამხდარი ბავშვები. აქაურ ოთახის სიბინძურეს ხომ ნუღარ იტყვით. ოთახში მზის შუქი არსაიდგან შედის. შუადღისასაც-კი ბნელა. ოთახში ნიშანიც-კი არ არის რაიმე სამკაულისა ანუ სულ უბრალო ავეჯისა. აქა-იქ ჩალა ყრია. პაწია ოთახში, სადაც თაგვიც-კი კუდს ვერ მოიქნევს, ერთად წვანან იატაკზედ 10—12 სული, დიდი და პატარა, ქალი და კაცი. ოჯახის პატრონი ქუჩაში, ნაგავში მჩვრებს აგროვებს, შუშის ნამტვრევებს, ნაფოტებს, ჰყიდის ამას ქარხნებში და ამ „ვაჭრობით“ ვითომ აცხოვრებს და არჩენს ოჯახს. სხვა საქმის გაკეთება არ შეუძლიან, ისეა დაუძლურებული სიმშილისა და ავადმყოფობისაგან...

საზოგადოდ, როგორც ლონდონში, ისე მთელს ინგლისში ღარიბი კაცი უფრო საცოდავი და უბედურია, ვიდრე სხვა ქვეყანაში. სამხრეთ ქვეყნებში ადამიანს იმდენი საჭიროება არა აქვს. იქ კაცს სიცივე არ აწუხებს. ნახევარ წელიწადზედ მეტს შეუძლიან ხორცი არა სჭამოს. თვით ბუნება უშლის სუფრას ღარიბს კაცს.

დაკრეფილი და ახალი პატარძალი ულოგინ-უსახურო. თითონ ალექსი ბარჯანიძე გომურში იდგა სითბოს გულისათვის და სახლის გატეხა ვერ გაიგო. მამასახლისი ძალიან მუყაითად სცდილობს ქურდების აღმოჩენას, მაგრამ ჯერ ვერა მოახერხა-რა. ასე წარმოიდგინეთ, ცერონისში წიწილის გამოსაჩეკი კვერცხიც-კი გააწყვეს. ყველამ იცის, ეს ქურდ-ბაცაცები ვინც არიან, მაგრამ ხმასაც ვერ იღებენ, რადგან ვინც ხმას ამოიღებს და იმათ დაადებს ხელს, იმას ქათამსა და ბატს ხომ აღარ დასჯერდებიან, ძროხას უკვლენ და ამიტომ ყველა ხმა-გაკმენდილია.

## სასამართლოს მატიანე

—

გიორგი პავლიაშვილის და პაატა ჯოხაძის საქმე.

11 მარტს, ტფილისის ოლქის სასამართლოს სესსიამ გორში განიხილა საქმე ქ. გორის მოქალაქეთა უფროსის გიორგი პავლიაშვილისა და იმავე ქალაქის ხარჯთ-მკრებელი პაატა ჯოხაძისა. პირველს ედებოდა ბრალად, რომ: 1, გორის მოქალაქეთა უფროსად ყოფნის დროს 1887 წლის ნოემბრიდგან 1890 წლის 13 ნოემბრამდე შეეკრიბა ხარჯი გორის მოქალაქეთაგან და ხაზინაში არ შეეტანა 106 მ. 41 კ., თითონ დაეხარჯა და შემდეგშიაც არ შეევსო ეს ნაკლი; 2, მიეთვისებინა მილიციისათვის უკანონოდ გარდახდევინებული 23 მ.; 3, 60 კ. უკანონოდ ახდევინებდა თურმე ყველას, როცა ბეჭედს დაუკრავდა ბაშფორთსა თუ სხვა ქაღალდს, მოქალაქეთა გამგეობიდგან გატანილს; 4, ხაზი გადაესო 1888 წლის მე-520 №-ის ფულის ბარათისათვის, რომლითაც ელისაბედ ტოტელაშვილისათვის 46 მ. 50 კ. გადაეხდევინებინა.; 5, უკანონოდ მოეკრიბა 52 მ. 50 კ. გზის ხარჯად ცხინვალსა, სურამსა და ბორჯომში წასასვლელად და 6, დროზედ არ ჩაებარებინა ხაზინასთვის სტეფანე დამბაროვისაგან შეტანილი 50 მ.

პაატა ჯოხაძეს ბრალად ედებოდა, რომ: 1, ქ. გორის მკვიდრთაგან შეკრებილი ფული, სულ არ ჩაებარებინა ხაზინისთვის და 1,069 მან. 15 კაპ. მიეთვისებინა; 2, ტფილისის სამხედრო სამკურნალოს ავადმყოფთა შესანახად შეკრებილ ფულიდგან 10 მან. 30 კაპ. მიეთვისებინა და შემდეგშიაც არ შეევსო და 3, 1889 წლის მე-127 №-ის ფულის ბარათზედ ხაზი გადაესო და წარეწერა „გაბათილებულიაო“, თუმცა-კი ამ ბარათში ჩაწერილი 10 მან. ათანასე ურიანთ-კოპელისაგან მიეღო.

სასამართლომ პავლიაშვილი დამნაშავედ იცნო, ხოლო 14 ნოემბრისა და 14 მაისის მანიფესტების ძალით სასჯელისაგან განათავისუფლა, ხოლო დაადგინა, რომ 152 მან. 91 კაპ. მის მიერ გაფლანგული გარდახდესო, ბრალდებული ჯოხაძე-კი უდანაშაულოდ და მართლად იქმნა ცნობილი.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

გაზეთი „ს. პეტერბ. ვედ“-ი ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ კავკასიის ქალაქების თვით-მმართველობა სომხებმა ჩაიგდეს ხელშიო. გაზეთი ამბობს:

კავკასიის ქალაქების საქმეთა გამგებლად სომხი ვაჭრები არიან, რომელნიც ჯერ ერთი რომ მცხოვრებთა უმცირესობას შეადგენენ და გარდა ამისა მოწადინებულნი არიან, რომ ქალაქის მცხოვრებნი, რაც შეიძლება, დიდხანს გაუნათლებელნი და უმწეონი დარჩნენ.

მოჰყავს-რა ეს სიტყვები გაზეთს „ნ. ვ.“-ს, თან დასძენს: ტფილისის მცხოვრებთა შორის მხოლოდ 47°/₀-ს სომხია და ქალაქის საბჭოში-კი დიდს უმრავლესობას შეადგენენ. ქართველებს-კი, რომელნიც მცხოვრებთა 27°/₀-ს შეადგენენ, არც ერთი წარმომადგენელი არა ჰყავთ საბჭოში. რაც შეეხება რუსებს, თუმცა მართალია არიან საბჭოში, მაგრამ მხოლოდ ისინი, რომელნიც სომხებს უყვართ და არა რუსებს.

—

გაზ. „კრიტ. ლისტ.“-ში ზოილო სწერსო, რომ მცხეთასა და ტფილისს შუა, ეგრეთ წოდებული „მუხათგვერდი“ უწინ ხრიოკს წარმოადგენდა. ამ 10 წლის წინად აქ ადგილი იყიდა ერთმა სომეხმა, ააგო მშვენიერი სახლი, გააკეთა გზები, გააშენა საქონელი და სხვ. ერთმა ადგილობრივმა ქართველმა მემამულემ ამ სომეხს „მაშენიკი“ უწოდა.—ბატონო,—თუ „მაშენიკი“ არ არის ეს სომეხი, ეგ ადგილი ხომ ჩვენი იყო, ჩვენ ვერ ვისარგებლეთ, სომეხმა იყიდა, ააგო სახლი, გააშენა საქონელი და ეხლა ფულს იგებს.

„ეს მხრები-და ავიჩეჩეო,—დასძენს ზოილი. ამ მემამულის სიტყვები ამ ჟამად სრულებით არ მიკვირს, რადგანაც ეხლა გამოჩნდნენ სხვა და სხვა მიკროცეფალები. (სიტყვა მიკროცეფალი ნიშნავს: პატარა თავიანი, უტვინო კაცი) და გაზეთების შემწეობით რაღაცას და ვიღაცას ესარჩლებიან. ეს მიკროცეფალები იმავე აზრისანი არიან, რომ ეს სომეხი კი, რომელიც ბუნებას ებრძვის, პატიოსანი მუშაკი-კი არ არის, არამედ „მაშენიკი“ და სისხლის მწოველიაო. დიაღ, მაშ რის მიკროცეფალები არიან, რომ ასე არ იფიქრონ?..

## უცხოეთი

—

**კრიტელი საუბარი გაზ. „Мировые Отголоски“-ს კორესპონდენტთან.**

„მე უკვე მითხრესო—ასე დაუწყია კორესპონდენტთან საუბარი კრიტელს—რომ ჩვენი საქმე თქვენთვის ძლიერ საყურადღებოა, ან-კი ვისთვის არ არის ამ ჟამად საყურადღებო ეს საქმე. დიდი ხანია, რაც ჩვენ ოსმალეთის უღელი მძიმედ გვაწევს კისერზედ და ცოტა სისხლი-კი არ დაგვიღვრია, რომ ჩვენი ყოფა-ცხოვრება გაგვეუმჯობესებინა. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ოსმალეთის მთავრობა ჩვენ თვით-მართველობას არაოდეს არ მოგვანიჭებს და ამისათვის გარდავსწყვიტეთ, ან ყველანი დავიხოცნეთ, ან ჩვენს საწადელს მივაღწიოთ. თქვენ ვერც-კი წარმოიდგენთ, რა ამბავი ხდება ჩვენს კუნძულზედ: ჩვენი ცხოვრება ჯოჯოხეთის ცხოვრებას წააგავს; ნამდვილად არავინ იცის, ხვალ ცოცხალი იქნება თუ არა. მრავალი წლის განმავლობაში ჩვენთვის ყური არავის უთხოვებია და ამ ჟამად საბერძნეთმა გარდასწყვიტა გვიშველოს. რამდენჯერ არ ავჯანყებულვართ, რომ სამარცხვინო უღელი კისრიდგან მოგვეშორებინა, მაგრამ თითოეული ცდა ძვირად დაგვჯდომია. ამასთანავე ჩვენი სისხლით სხვები სარგებლობდნენ, და ჩვენ-კი ისევ მონებად ვრჩებოდით. საბერძნეთმა თავისუფლება ჩვენი დახმარებით მოიპოვა, ჩვენი კუნძული კრიტი-კი წინანდებურად ოსმალეთის ხელშია, თუმცა 1830 წლიდგან მოყოლებული ეს მეექვსე ჯერ ავჯანყდით. ყველასათვის ცხადია, საბერძნეთი რისთვისაც გვეხმარება ჩვენ: უკრიტოდ იმას არ ძალ-უძს,—ზღვაში თავისი ძალ-ღონე გააფართოოს, მაგრამ ამასთანავე არც ოსმალეთს ჰსურს,—ასეთი მსუქანი ლუკმა გაუშვას ხელიდგან. რასაკვირველია, საბერძნეთს ოსმალეთთან ბრძოლა გაუძნელდება, მაგრამ ყოველს შემთხვევაში ჩვენ იარაღს იმ დრომდე არ დავჰყრით, ვიდრე თავისუფლებას არ მოვიპოვებთ. ჩვენ ძლიერ კარგად გვესმის, რომ ჩვენს ასეთს საქციელს შეიძლება დიდი უბედურება მოჰყვეს, მაგრამ ჩვენს მდგომარეობასაც უნდა შემოჰხედოთ. ჩემის აზრით, დროა,—ჩვენც კაცურად ვიცხოვროთ; დროა,—ან თავისუფლად ამოვისუნთქოთ და ან სრულიად და სამუდამოდ სული დავლიოთ.

— მაგრამ, თუ საქმე ასე გაგრძელდა, თქვენ ბრძოლის საშუალებაც-კი არ გექნებათ,—შეჰნიშნა კორესპონდენტმა.

— ნუ შესწუხდებით, ძალაც შეგვწევს და ფულიც; ოსმალელებზედ უფრო მდიდრები დღესაცა ვართ ჩვენ, თუმცა ისინი ამოდენა ხნის განმავლობაში გვძარცვავდნენ ჩვენ. დამეთანხმეთ—ჩვენ შეუძლებელს რომ ვთხოულობდეთ, არავინაც არ დაგვეხმარებოდა. შეიძლება, თქვენ მითხრათ, რომ ვინც რამეში გვეხმარება, თავის პირად სარგებლობასაც არ ივიწყებსო. ეს ნამდვილია; მაგრამ მუქთად ვინ რას აკეთებს? ინგლისი თუ ჩვენ გვეხმარება, ცხადია,—რასმეს კიდევაც გამოელის. რაც გენებოსთ, ამ სახელმწიფოს შესახებ ის იფიქრეთ; ვსთქვათ, რომ იგი ანგარების მოყვარეა, მაგრამ იმას მაინც პატივის ცემით უნდა მოვეპყრათ. თქვენს წინაშე არ დავფარავ, რომ ჩვენ რუსეთის დიდი იმედი გვქონდა; დარწმუნებული ვიყავით, რომ სხვაზედ ადრე იგი გამოგვიწვდენდა ხელს, მაგრამ ჩვენ არ ვამტყუნებთ მას, რადგან ყველას პირადი სარგებლობა ამოქმედებს. ოსმალეთის შესახებ-კი ამას ვიტყვი, რომ იმას გინდ უშველოს ვინმემ და

---

აუარებელი თევზი, წაბლი, ხილი, სიმინდი. ყველა ეს ადვილად მოჰყავს კაცს. შრომა სულ ცოტა აქვს. გარდა ამისა: მშვენიერი ჰაერი, მზე, სინათლე, ჩინებული ბუნება, მცენარეობა, მწვანით მოსილი მინდორ-ველი, ყველა ეს სასარგებლოა და სასიამოვნოა ადამიანისათვის. იქ ჰაერი და სინათლე მაინც ისეთივე საკუთრებაა ღარიბ კაცისათვის, რამდენადაც მდიდრისათვის. ინგლისში სულ სხვაა. აქ თითქმის მთელს წელიწადს უბერავს ცივი ქარი, სწვიმს, მთელად ნისლი და ბურუსია. ადამიანი იტანჯება სიცივისა, ნესტისა და ჯანყისაგან. ბურუსის გამო ოთახში ისე ბნელა, რომ მთელს დღეს სანთელი უნდა ენთოს, დილიდგან საღამომდე. წვიმა, ბურუსი და სიცივე ძლიერა სტანჯავს ლონდონელს და ამიტომ არის, რომ აქაური ღარიბი კაცი მეტად ეჩვევა არყის სმას, რა არის, ცოტა მაინც გავთბეო. სწორედ რომ საცოდავი სანახავია ლონდონელი ღარიბი კაცი—დალეული, ჩონჩხსავით ჩამომხმარი, ამღვრეულის თვალებით. რაღაც ძონძებში გახვეული ჩრდილსავით დადის ქუჩაში; თუ ნახშირითა და კუპრით მოთხუპნულ ტანთ-საცმელიანი კაცი შეგხვდათ,—იცოდეთ, ეს მუშა არის. არც ძლიერ შეგებრალებათ, რადგანაც, რაც უნდა იყოს, მაინც ჰშოულობს ერთს ლუკმა პურს. იმ უბანში-კი, ზევით რომ მოგახსენეთ, ხშირად შეხვდებით ღარიბ-ღატაკ ქალს, დაძონძილის აბრეშუმის კაბით, ან კიდევ კაცს, ოდესღაც მოდაზედ გამოჭრილ, მაგრამ ეხლა-კი სულ ერთიანად დაგლეჯილ სერთუკით. ამ გლახაკებს ისე უხდებათ ეს ტანთ-საცმელი, როგორც მკვდარს ფერ-უმარილი. მთავრობაცა და მდიდარი ხალხიც ძლიერ ეხმარება ღარიბ-ღატაკებს, მაგრამ ვერაფერსა ჰხდება, რადგანაც ღარიბთა რიცხვი მეტად დიდია. მთელს ინგლისში 5 მილიონი კაცი ითვლება ისეთი, რომელთაც არავითარი სახსარი არ მოეპოვებათ ცხოვრებისა. მარტო ლონდონში ყოველ ას კაცზედ ოც-დაათს კაცს ლუკმა პური არა აქვთ საჭმელი.

ასეთსავე დიდს სიღარიბეს ერთის მხრივ და დიდს სიმდიდრეს მეორეს მხრივ შეხვდება კაცი ინგლისის სოფლებშიაც. ინგლისი სამართლიანად ამაყობს გამოჩენილ და ნიჭიერ კაცების სახელებით. შექსპირი, ბაირონი, დიკენსი, დარვინი, გლადსტონი და მრავალნი გამოჩენილნი ინგლისმა დაჰბადა. სხვა-და-სხვა სამეცნიერო და სასარგებლო გამოგონებითაც ინგლისელებმა ისახელეს თავი. ინგლისელმა უატმა გამოიგონა ორთქლის მანქანა (1708 წ.), ინგლისელმა ფულტონმა გაჰმართა პირველი გემი ცეცხლისა. პირველი რკინის გზაც ინგლისელებმა გაჰმართეს. ამასთან ინგლისში ადვილად შეჰხვდებით ისეთს კაცს, რომ წერა-კითხვა კი არა, სიღარიბისაგან ადამიანის სახე და ხასიათიც დაჰკარგვია და უფრო პირუტყვს დამსგავსებია. ინგლისში ერთსა და იმავე დროს აუარებელი სიმდიდრეც არის და აუარებელი სიღარიბეც, აქ შეხვდებით წყნარსა და მშვიდს ოჯახის ცხოვრებას და საშინელს ავაზაკობასაც. არც ერთი სახელმწიფო არ თანაუგრძნობს ღარიბ-ღატაკს კაცს, ისე, როგორც ინგლისი, და არც ერთს სახელმწიფოში არ შეხვდებით ისეთს ამპარტავანს კაცს, როგორც ინგლისში, რომელიც ახლოს არ მიგიკარებთ, თუ ძლიერ კარგი და მეტად თვალ-საჩინო ტანთ-საცმელი არ გაცვიათ.

მთელი ლონდონი ბაღებით არის შემკული. შიგ შუაგულს ქალაქში ბევრია ასისა და ორასის დღიურის ოდენა ბაღები, ასე რომ შეიძლება ქალაქის თავიდგან ბოლომდე ბაღებზედ გაიაროთ და შენობები არც-კი ჰნახოთ.

ლონდონის ბაღები, როგორც მოგახსენეთ, შიგ შუაგულ ქალაქშია გაშენებული. ბაღი ზაჰთარ-ზაფხულ ჰყვავის. ინგლისელ მებაღისთანათ არავინ იცის ბაღის მოვლა. ლონდონის ბაღებში ძლიერ ხშირ-ხშირად არ არის ჩარგული ხეხილები, როგორც მაგალითად საფრანგეთში. აქ მზე ცხარე არ არის, და ამიტომ ჩრდილი არავის უნდა. წყალი ყველა ბაღში ბევრია. ზოგან ტბებია ხელოვნურად გაკეთებული. ერთის სიტყვით, ამ ბაღში რომ შეხვიდეთ, ნამდვილი სოფელი გეგონებათ.

ასეთს მთელს სოფელს წარმოადგენს ჰაიდ-პარკი, უდიდესი ბაღი მთელს ლონდონში. ამ ბაღში უზარმაზარი მინდვრებია, ხეობები, გორაკები, ტბა, მდინარე, მშვენიერი გზატკეცილი, რომელზედაც შეხვდებით ცხენოსან გასათხოვარ ახალგაზდა ქალებს და მათთან ერთად დედებს, მამებს, 80 წლის პაპებსა ბ ბებიებს. ცხენოსნობა და ჯირითი ისე უყვარს ინგლისელ ქალსა და კაცს, დიდსა და პატარას, როგორც ევროპიელს—ცეკვა.

მშვენიერი ტანთ-საცმელი, ხავერდი და ოქრო-მკედი, ლამაზი ეტლები, საუკეთესო ცხენები, მოსამსახურეთა სიმრავლე, ყველა ეს ამტკიცებს, რა მდიდრულად უყვარს ინგლისელს ცხოვრება. თუ ღარიბი კაცი მეტად უბედურია, მდიდარი კაცი სამაგიეროდ უფრო ბედნიერია და ისეთის სიამოვნებითა, განცხრომითა და ფუფუნებითა სცხოვრობს, როგორც არ შეიძლება სხვა სახელმწიფოში ცხოვრება. საზოგადოდ ინგლისში გაცილებით მეტია მდიდარი ხალხი, ვიდრე სხვაგან. ვაჭრები წელიწადში მილიონებს იგებენ, ლორდებს სწორედ მეფის სასახლეები აქვთ, დიდ-ძალი მამულები და შემოსავალი. აგრეთვე დიდს ფულს იღებენ და ჩინებულად სცხოვრობენ ინგლისში მეცნიერები, პროფესორები, მწერლები, ექიმები, მასწავლებლები. რუსეთში პროფესორს აქვს წელიწადში ჯამაგირად 3 ათასი მანათი, საფრანგეთში ამდენივე, ინგლისში-კი პროფესორს ჯამაგირი აქვს 22 ათასი მანეთი. გამოჩენილი მწერლები და ჟურნალისტები დიდ-ძალ ფულს ჰშოულობენ, რუსეთსა და გერმანიაში-კი ჟურნალ-გაზეთის თანამშრომელი ძლივ-ძლიობით ირჩენს თავსა. ინგლისი—მეფეა ვაჭრობისა და მრეწველობისა. არც ერთს სახელმწიფოს არა აქვს იმდენი ახალშენი, რამდენიც ინგლისს. ინგლისს ეკუთვნის აზიაში ინდოეთის ნახევარზედ მეტი. მთელი ავსტრალია ინგლისელებს ეკუთვნის. ინგლისზედ მდიდარი სახელმწიფო არსად არ მოიპოვება. კერძო კაცთა სიმდიდრე—აუარებელია. ლონდონში რომ ერთი მილიონი ფული წაიღოთ და ერთს წელიწადში დახარჯოთ, ვერავის გააკვირვებთ. თქვენზედ მდიდარი და თქვენზედ უხვი მხარჯველი სხვა კიდევ ათასია იქა.

ისკანდერ-ალა-უსუფ-ოღლი

გინდ არა, მისი დღენი მაინც დათვლილია. ეხლა დრო დადგა, რომ ჩვენ სამაგიერო გარდავუხადოთ მას. ჩვენი კულტურა ოსმალელებისაზედ მაღლა სდგას და აშკარაა ჩვენ წინ უნდა მივდიოდეთ. შეხედეთ ბოლგარიას, ამ უკანასკნელი 18 წლის განმავლობაში რა გააკეთა მან. და დარწმუნდებით, რომ პროგრესთან ბრძოლა შეუძლებელია. თქვენ დაინახავთ, რომ ვიდრე ერთი კრიტელიც-კი ცოცხილი იქმნება, ჩვენ ჩვენს საქმეს არ ვუღალატებთ; რაც იქმნება, ის იქმნება; უკანასკნელმა ჟამმა მოაღწია.

## ნაკვესი

ერთს მკურნალთან მოვარდა ერთი კაცი და შიშით შესჩივლა:

— ღამ-ღამობით რაღაცა მელანდება ხოლმე და მოსვენებას არ მაძლევსო.

— ლანდი რა სახისა არის? ჰკითხა მკურნალმა.

— ვირსა ჰგავს.

— მაშ ნუ გეშინიანთ. შინ წადით და ღვინოს ბევრს ნუღარ დალევთ. თქვენ მთვრალი ბრძანდებულხართ და საკუთარის ჩრდილისა შეგშინებიათო.

***

ერთმა სიყვარულით აღტაცებულმა უმაწვილმა კაცმა უთხრა მეორეს:

— მე ჩემს საყვარელს იულიას სწორედ თვალში ვუზივარო.

— კიდეც იმიტომ მე შევნიშნე თითქო თვალში ლიბრი აქვსო, უპასუხა მეორემ.

***

სასტუმროში რამდენიმე უმაწვილი კაცი ერთად სადილს მიირთმევდნენ. ერთმა მათგანმა ბაქიობა დაიწყო და ყველას ყურები გამოუჭედა თავისის თავის ქებით. სადილი რომ გაათავეს და ყველას თავისი ხვედრი ფული უნდა მიეცა სადილისათვის, ერთმა უთხრა ბაქიას:

— ეგ ხომ გავიგონეთ, რომ თქვენ ყველაფერი გცოდნიათ და ყველაფერი შეგძლებიათ, ეხლა გვითხარით: არის რამ იმისთანა, რომ თქვენ არ შეიძლოთ?

— როგორ არა? აი, მაგალითად, სადილის ფულის გადახდა არ შემიძლიან!

## ჟურნალ-გაზეთებიდამ

ამოკრებილი ამბები.

ყურძნის შენახვა საზამთროდ არც ისე ძნელია, როგორც ზოგსა ჰგონია. სამხრეთ რუსეთში ასე ინახავენ ყურძენს. ჯერ მტევნებს ცოტა ხანს დაიცდიან, მერე გაფუჭებულ მარცვლებს გადაარჩევენ და მტვერს გადასწმენდენ. კასრში ჩაჰყრიან ერთს ჩაის კოვზს მარილს და გადააფარებენ ალუბლის ფოთლებს, ჩააწყობენ მტევნებს და თითოეულ რიგს კიდევ ალუბლის ფოთლებს გადააფარებენ. კასრი რომ მტევნებით აივსება, გადაასხავენ მარილიან წყალს (მარილი სულ ცოტა უნდა) მერე კიდევ ალუბლის ფოთლებს გადააფენენ, ზევიდგან სუფთა ტილოს გადააფარებენ და მძიმე რასმეს დაადებენ რომ ყურძენი მაღლა არ ამოვიდეს. ამგვარად შენახული ყურძენი გემოთი ახალ მოკრებილ ყურძენს არ ჩამოუვარდება თურმე. მაგრამ თუ ისე არ იქმნა შენახული, როგორც ეხლა მოგახსენეთ, ყურძენს გემო სულ გაუფუჭდება.

შემდეგი საშუალება-კი უფრო უკეთესია ყურძნის შესანახად:

ვიდრე თვით შენახვაზედ დავიწყებთ ლაპარაკს, საჭიროა მოგახსენოთ, რომ ის ყურძენი უფრო კარგად ინახება, რომელიც მთიანსა და ქვებიან ალაგას მოდის. შესანახ ყურძნის მოჭრა მაშინ უნდა, როდესაც იგი კარგად დამწიფდება. თუ ამ დროს წვიმა მოვიდა, იცოდეთ, ეს ყურძენი შესანახად არ ვარგა. ამიტომ წვიმის მოსვლამდე უნდა მოსჭრათ მტევნები და ფრთხილად გადიტანოთ შესანახ ოთახში, რომელიც სუფთა და მშრალი უნდა იყოს. საჭიროა აგრეთვე ამ ოთახში ჰაერიც სუფთა იყოს.

ყურძენი იმ დრომდე უნდა შეინახოთ აქ, ვიდრე დაჭკნობას არ შეამჩნევთ და თანდათან დამჭკნარი და გაფუჭებული ყურძენი უნდა გადაარჩიოთ და მერე კასრში ჩააწყოთ.

კასრში ყურძნის შესანახად საჭიროა პრობკის ნახერხი, რომელიც ჯერ კარგად უნდა გამოხარშოთ და გააშროთ, რომ სუნი არ შეჰყვეს. კასრში ჯერ ეს ნახერხი უნდა ჩაყაროთ, მერე ყურძნის მტევნები ჩააწყოთ და ისევ ნახერხი მოაყაროთ. ყურძნის ჩაწყობის დროს კასრი ხშირად ნელ-ნელა უნდა ატოკოთ და ოდნავ დედამიწაზედ დაჰკრად, რომ მტევნებს შუა ნახერხი ჩაჯდეს და, რაც შეიძლება, ნაკლებად დარჩეს შიგ ჰაერი, მერე მაგრად დახურეთ კასრს თავი და ისე შეინახეთ მშრალსა და სუფთა ოთახში. ამ გვარად შენახული ყურძენი შეიძლება დიდს მანძილზედაც გაჰგზავნოთ.

ერთი საშუალებაც არის კიდევ ყურძნის შესანახად. რომ დამწიფდება ყურძენი, მტევნები უნდა მოსჭრათ და დააწყოთ ოთახში ხმელ ჩალაზედ ან ქაღალდზედ და თვალ-ყური ადევნოთ რომელი მარცვალი გაფუჭდება, მაშინვე მოაშოროთ მტევანს. ოთახში მუდამ სუფთა და მშრალი ჰაერი უნდა იყოს. წვიმიან დღეს კარ-ფანჯრები უნდა დაჰკეტოთ. ამგვარად შენახული ყურძენიც დიდხანსა სძლებს, მაგრამ ხმება კია და ახლად მოწყვეტილ ყურძნის გემო აღარა აქვს და ამიტომ ისევ კასრებში სჯობიან ყურძნის შენახვა. (რ. ს.)

## წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესადა გთხოვთ ეს წერილი დაგვიბეჭდოთ თქვენს გაზეთში მ. ტყემალაძის შესახებ. 1888 წელს მამა მარკოზ ტყემალაძემ კიევის სასულიერო აკადემიაში დაამთავრა თავისი სწავლა და მიიღო ხარისხი სადმრთო-წერილის კანდიდატობისა და მაშინვე დაიწყო სამსახური მასწავლებლობით გორის სასულიერო სასწავლებელში. 1889 წელს მამა მარკოზი ეკურთხა მღვდლად და მიიღო წინამძღვრის ალაგი ვერის წმ. იოანნე ღვთის-მეტყველის ეკკლესიისა, სადაც დაჰყო ერთს წლამდე, ამ მოკლეს ხანში მკვიდრად შეაკეთა ეკკლესია, გააუმჯობესა ავეჯი და შესამოსი ეკკლესიისა და დააარსა სასწავლებელი იმ ეკკლესიის მრევლის ბავშვებისათვის. 15 თებერვალს 1890 წელს მამა მარკოზი იყო გადმოყვანილი კუკიის წმ. ნიკოლოოზის წინამძღვრად და დაჰყო აქ თითქმის სრული შვიდი წელიწადი. ამ ხნის განმავლობაში მამა მარკოზმა, ნაწილი ალაგისა, რომელიც ეკრა ეკკლესიის ეზოს და დაგდებულიყო ქუჩად, ქალაქის გამგეობაში მოიგო ეკკლესიის სასარგებლოდ და მაშინვე 1892 წელს იმ ადგილზედ ააშენა სასწავლებელი, სადაც იმავე წლიდგან დაიწყეს სწავლა 60 ქალმა და ვაჟმა, იმ ეკკლესიის მრევლის შვილებმა, რომლებისთვის დიდად საჭირო იყო სწავლა და დღევანდლამდე ყოველ წელს იზდება 60 ბავშვი; შემდეგ ეკკლესიაში გააკეთა მკვიდრი ნიადაგი და შეაკეთა ჭერი ეკკლესიისა, გააუმჯობესა ნივთები და შესამოსი ეკკლესიისა, შემოიღო სისუფთავე, სასწავლებლის მოსწავლე ქალებისა და ვაჟების მგალობელთა ხორო შეადგინა და დაუქირავა მასწავლებელი გალობისა. ისე კარგად ჰგალობენ ეხლა ეკკლესიაში, რომ წირვისა და ლოცვის დროს კვირა-უქმე დღეს ამ გალობამ მოიწოდა მრავალი მლოცავი, როგორც ამ ეკკლესიის მრევლისა, აგრეთვე სხვებიც, თუმცა აქამდის დიდად მცირეთ ესწრებოდნენ მლოცავები. ამითი არ დაკმაყოფილდა მამა მარკოზი და შარშან 1896 წელსა თავის მოუღალავის მეცადინეობით და ცოტაოდენ თანხით ააშენა მკვიდრი ორ-სართულიანი სახლი, რომელიც შეადგენს ათს ოთახს და სამზარეულოს, სადაც ეხლა თავსდებიან ორი სახლობა მღვდლებისა, ერთი მთავრისა და ერთი დიაკვნისა, აქამდის-კი უსახლობის გამო თითონ ქირაობდნენ სახლებს. მამა მარკოზმა დასდო წესად, რომ ყოველ კვირასა და უქმეს იყოს ხოლმე ეკკლესიაში ქადაგება, რომელიც იმის აქ გადმოსვლამდე არავის გაუგონია, რითაც უფრო მოიზიდა მლოცავები.

მან თავისის მოუღალავის მხნეობით, უხარბობოთ, ალერსიანი ქცევითა და ყურადღებით მოიპოვა ფრიად დიდი სიყვარული და პატივისცემა მრევლისა და დაიმსახურა გამოუთქმელი მადლობა, როგორც მრევლისა, აგრეთვე ყველა ნაცნობისა; იგი არს ნამდვილი განათლებული მწყემსი და მოძღვარი, მცოდნე თავისის საქმისა და მოვალეობისა. გარდა თავის პირდაპირის თანამდებობისა, ჰქონდა მინდობილი მას სხვადა-სხვა თანამდებობა და საქმეები, მაგალითებრ ბლაღოჩინობა, სანთლის ქარხნის გამგეობა და სხვა. ყოველივე ზემო აღწერილის მოქმედებისათვის მამა მარკოზს ვუცხადებთ ეკკლესიის მრევლნი და წმ. ნიკოლოოზის სამზრუნველოს წევრნი დიდს მადლობას და ვთხოვთ ღმერთსა იმისს ხანგრძლივს სიცოცხლესა.

მამა მარკოზმა თვისის მოქმედებით და სამსახურით მიიქცია ყურადღება საქართველოს ეგზარხოსისა ვლადიმირისა და დაჯილდოებულ იქმნა იმითი, რომ გადიყვანა დღეს ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიის წინამძღვრად, იმ ეკკლესიისა, რომელიც არის სალოცავი მთელის ტფილისის მცხოვრებლებისა, სარწმუნოების განურჩევლად.

თავმჯდომარე წმ. ნიკოლოოზის საეკკლესიო სამზრუნველოსი ზაქარია იოსების ძე შამაცაშვილი

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

12 მარტი.

**ბერლინი.** გაზეთებს აუწყებენ კანეიდგან: „ავსტრიის სამხედრო ხომალდმა „Satellit“-მასუდსის ყურეში მოიყვანა საბერძნეთის გემი 60 თავის ნებით ჩაწერილ ჯარის-კაცით და ბერძენთა იალქნიანი ნავი სურსათით და ტყვია-წამლით. ეს ორივე „Satellit“-ს დაუჭერია“.

**კონსტანტინეპოლი.** ტოკატას გუბერნატორი, ჟანდარმთა ადგილობრივი უფროსი და პოლიციის ერთი კომისარი დაპატიმრებულნი არიან.

**ათინა.** საბერძნეთის მთავრობამ დაადგინა, მივჰმართოთ დიდთა სახელმწიფოთ ნოტით, რომ პროტესტი გამოვუცხადოთ კრიტის კუნძულის ალყის შემორტყმის გამო და შევუთვალოთ, რომ ჩვენ ყოველივე პასუხის-გება აგვიხსნია იმისი, რაც შეიძლება მაგ ალყის შემორტყმას მოჰყვეს.

**პორტ-ლუი.** დედოფალი რანავალო კუნძულს ბურბონზედ გაგზავნილ იქმნა იმის გამო, რომ შეთქმულობა იყო და განზრახვა ჰქონდათ გენერალი გალლიენი მოეკლათ.

14 მარტი

**პეტერბურგი.** 13 მარტს დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდგან თავადი ვლადიმირ ალექსანდრეს ძე.

რუსეთში ჭირის შემოტანის საწინაალმდეგოდ დაარსებულ კომისიისაგან:

თეოდოსიაში 8 მარტს მოვიდა ინგლისის გემი „ბლოდვინი“, კარდიფიდგან მომავალი პორტ-საიდზედ, სადაც ქვის ნახშირი მიიტანა. გემზედ ერთი ავადმყოფი ზღვაოსანი აღმოჩნდა, რომელიც, გემის მოსამსახურეთა სიტყვით, 2 მარტს გამხდარა ავად. ავადმყოფს გამოაჩნდა საზარდულისა, იღლიებისა და ყელის ჯირკვლები. ავადმყოფი ცალკე ოთახში გადიყვანეს, სინჯავენ და სწამლობენ. რადგანაც ეს ავადმყოფობა საეჭვოა, გემს კარანტინი დაუწესეს და შიგ დეზინფექცია მოახდინეს.

**პარიზი.** გურმას ოლქის მფარველობა საფრანგეთს ჩაჰბარდა. ამ გვარად კავშირი დაარსდა საფრანგეთის სუდანსა და დაგომეას შორის.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატაში კერზონმა განაცხადა. ინგლისის ელჩს კონსტანტინეპოლში ებრძანა მოსთხოვოს ოსმალეთს, რომ მან თავისი ჯარი წაიყვანოს კრიტიდგან. საქმე უფრო გაადვილდებოდა, რომ კრიტიდგან საბერძნეთის ჯარი იქმნეს წაყვანილი.

**კანეა.** ავსტრიის გემმა შეიპყრო საბერძნეთის გემი „გერა“ და ერთიც იალქნიანი გემი, რომელნიც ალყას უნდა ასცდენოდნენ. ტყვიაწამლით დატვირთულ „გერაზედ“ პალატის პრეზიდენტი რომასი და დეპუტატი რომანოსი იყვნენ თურმე. ორივე გემი სუდის ნავთ-სადგურში მიიყვანეს. რომასსა და რომანოსს ძლიერ თავაზიანად ექცევიან. ადმირალებთან მოლაპარაკების შემდეგ ორივენი საბერძნეთის საზღვარზედ მიიყვანეს.



## განცხადებანი

თამარის სურათი ატლასზე შეკერილი ბალიშებისთვის . . . . . . . 2 მ. კ.

აბაჟური ექვს ცნობილ მწერალთა სურათებით . . . . . . . . 3 „ „

აბრეშუმის ცხვირსახოცები იმავე მწერალთა სურათებით . . . . . 60 კ.—80 კ.

წიგნებში ჩასადები ლენტი . . . . . . . 25 კ.—30 კ.

ვინც ბევრს იყიდის, იმას იაფად დაეთმობა. ვისაც ჰსურს თავისი სურათი ამოაკერინოს, შეუძლიან მიჰმართოს ამ ადრესით: ტფილისი, საპიორის ქუჩა, სახლი № 12, მურადოვისა, ა. როდიონოვისას. (7)

ახლად გამოვიდა და ისყიდება

ფაბიოლა

ანუ წინანდელი ქრისტიანები

გამოცემა უდაბურ წყალწმიდის ძმობისა, თარგმანი ა. ნიკიტინისა.

წიგნი 68 გვერდია და ღირს ერთი შაური.

ისყიდება ტფილისის ყველა წიგნის მაღაზიებში. ტფილისს გარეთ: ოზურგეთში თავართქილაძესთან, მაჩხაანში დ. ნადირაძესთან, ბორჯომში მ. სალარიძესთან, თელავში ილ. იმერლიშვილთან და სურამში არშაკ შულაროვთან.

ცნობილ ფაბრიკების



როიალები



პიანინო



ფის-გარმონიანი, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლორნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

ახალი პრეისკურანტები მუქთად იგზავნება,

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა

ბ. მ. მირიმანიანისა

რომლისაგანაც საიმპერატორო სამუსიკო საზოგადოება ყოველს საჭირო სამუსიკო იარაღსა ჰყიდულობს.

Тифлисъ. Музыкальное депо Б. М. Мириманяна. Дворцовая ул. (4)

გამოვიდა და ისყიდება

ყველა წიგნის მაღაზიაში ცხოვრება და სასწაულთ-მოქმედება

სვიმონ მესვეტისა

გამოცემა წყალ-წმინდის ძმობისა.

ფასი ერთი შაური

(3—6.—3)

პატენტ-ბოძებული თვით მოქმედი მანქანა „სიფონია“ ვენახებისა, ბოსტნებისა და ხეხილების სამკურნალოდ უფრო კარგად ასხურებს წამალს, ვიდრე სხვა რომელისამე სისტემის მანქანა. ხმარების დროს შეკეთება სულ არა სჭირდება. ამითი დიდად იზოგება დრო და მასალა



ისყიდება: ივანე კულიჯანოვის მაღაზიაში ქ. თელავს.

ე. ფ. აუფერმანის საწყობის განყოფილებაში, ქალაქ სიღნაღს, შავერდოვების ქარვასლაში.

ე. ფ. აუფერმანის საწყობში, ტფილისს, მიხეილის ქუჩაზედ № 117. 20—6.—4



Дозволено цензурою, Тифлисъ 14 -го Марта 1897 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.